ISFED
საქართველოს არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება

18/09/2021
№ 21/5-020

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(ძალადობის შემცველ ანონიმურად განთავსებულ საარჩევნო ბანერებთან დაკავშირებით)

მოგახსენებთ, რომ 17 სექტემბერს, თბილისის ქუჩებში, (კოსტავას, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის ქუჩებზე და სხვა) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დარღვევით, ბანერების სახით გამოიფინა სააგიტაციო მასალა, რომლებზეც გამოსახულნი არიან ცალკეული საარჩევნო სუბიექტები და მედიასაშუალებების წარმომადგენლები. ბანერებს აქვთ ძალადობრივი შინაარსი და ანონიმურად არიან განთავსებული. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-2 მუხლის 3^7 პუნქტის თანახმად, სააგიტაციო მასალას წარმოადგენს პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი; ბანერებზე გამოსახული არიან საარჩევნო სუბიექტები: ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, ნიკანორ მელია და გიორგი გახარია, რაც აგიტაციის ნიშნებს შეიცავს და წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ მიმართულ საჯარო მოქმედებას.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის დამზადება და გავრცელების წესი მკაცრად არის განსაზღვრული „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-6 პუნქტით. კერძოდ, ნორმის მოთხოვნის თანახმად, სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მისი ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ. აკრძალულია ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად, აღნიშნული ბანერების დამკვეთის და შემსრულებლის შესახებ ინფორმაცია უცნობია. გაურკვეველია მისი დაფინანსების წყაროების წარმომავლობა და ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ ბანერები შეიცავს ძალადობრივ შინაარსს, ბანერზე კანდიდატები სხვა პირებთან ერთად გამოსახული არიან სისხლის ფონზე. საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია წინასაარჩევნო მოწოდება შეიცავდეს ძალადობის პროპაგანდას. ანონიმურად დაფინანსებული ამგვარი ფორმის და შინაარსის ბანერების არსებობა აღრმავებს საზოგადოებაში არსებულ პოლარიზაციას და შეიცავს დაპირისპირების რისკებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსით დადგენილ სტანდარტებს.

გთხოვთ, აღნიშნული საკითხი ცესკომ განიხილოს კომისიის სხდომის ფორმატში; იმსჯელოს განცხადებაში მითითებული გარემოებების შესახებ და ქალაქ თბილისის შესაბამის სამსახურებს დაავალოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით განთავსებული ბანერების ჩამოხსნა.

პატივისცემით,

ნინო დოლიძე
აღმასრულებელი დირექტორი

5.

ISFED

ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია
ცესკოს მდივნის
აპარატი

№ 4708 1 ფ.
18 09 2021 წ.
14 საათი 25 წუთი